



შპს „აუდიტ-პროფესიონალი“

გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიში

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ანგარიშის მომზადების საფუძველი	3
ფირმის შესახებ	3
მმართველობის სტრუქტურა	3
ხარისხის მართვის სისტემა	4
პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება	4
ხარისხის მართვის სისტემის შეფასება და ხელმძღვანელობის განცხადება	4
მონიტორინგი და რეგულაცია	5
გარიგებების ხარისხი, კონსულტაცია და დოკუმენტაცია	5
სამსახურის მიერ ჩატარებული ბოლო მონიტორინგი	5
დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ზომები	5
განგრძობითი განათლება	6
პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორები	6
გარიგების პარტნიორებისა და სხვა საკვანძო პერსონალის როტაცია	7
შემოსავლები	7
ინფორმაცია სანქციების შესახებ	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა და ხელმოწერა	8



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართვა

ძვირფასო მკითხველო

მოხარული ვართ, რომ თქვენ ეცნობით კომპანია აუდიტ-პროფესიონალის 2025 წლის გამჭვირვალობის ანგარიშს. კომპანია აუდიტორულ მომსახურებას ეწევა 2016 წლიდან. ჩვენი მომსახურების მთავარი მიზანია პროფესიული ეთიკისა და ხარისხის მაღალი სტანდარტების დაცვით, პროფესიული სანდოობის ამაღლება. კომპანია თვითმყოფად და სტაბილურად ვითარდება ქართულ აუდიტორული მომსახურების ბაზარზე, რისთვისაც დიდი მადლიერი ვართ ჩვენი პარტნიორების, ვინც დაარსა და დღემდე აწვითარებს კომპანიის ხარისხს, ჩვენი თანამშრომლობის, საქმისადმი ერთგულებისთვის და ჩვენი დამკვეთებისა გამოცხადებული ნდობისთვის.

კომპანია გამჭვირვალობის ამ ანგარიშით აღიარებს თავის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.

გიორგი ნიქაბაძე მმართველი პარტნიორი

30.04.2026 წელი



ანგარიშის მომზადების საფუძველი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 22-ე პუნქტისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 16 მაისის №5 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ანგარიში მოიცავს 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს და მიზნად ისახავს ფირმის სამართლებრივი და მმართველობითი მოწყობის, ხარისხის მართვის სისტემის, დამოუკიდებლობის დაცვისა და საქმიანობის ფინანსური მასშტაბის შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდებას.

ფირმის შესახებ

საფირმო სახელწოდება	შპს „აუდიტ-პროფესიონალი“
სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი	212816032
რეგისტრაციის თარიღი	2003 წლის 21 აგვისტო
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. №21
საქმიანობის ძირითადი ადგილი	საქართველო, ქ. ქუთაისი
აუდიტორული ფირმების რეესტრი	რეგისტრირებულია 2016 წლის 29 დეკემბრიდან; № SARAS-F-351066
უფლებამოსილება	სავალდებულო და სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება
ქსელის წევრობა	ფირმა არ არის აუდიტორული ქსელის წევრი
სდპ-ის აუდიტი 2025 წელს	ფირმას საანგარიშგებო პერიოდში სდპ დამკვეთი არ ჰყოლია და სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარდება

მმართველობის სტრუქტურა

ფირმის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი (მმართველი პარტნიორი) გიორგი ნიქაბაძე, რომელსაც პარტნიორთა კრება ნიშნავს. ფირმის ოთხივე პარტნიორი უშუალოდ არის ჩართული საქმიანობაში.

	პარტნიორი	წილი
რუსუდან ჟორჟოლიანი-ნიქაბაძე		30%
ამბერგი ნიქაბაძე		25%
გიორგი ნიქაბაძე		25%
თამარი ნიქაბაძე		20%

ფირმაში ფუნქციონირებს აუდიტის, აღრიცხვა-ანგარიშებისა და საკონსულტაციო მიმართულებები. აუდიტის მიმართულებას მართავს დირექტორი, ხოლო აღრიცხვა-ანგარიშებისა და საკონსულტაციო მიმართულებას - შესაბამისი მენეჯერი. დამკვეთთან გარიგებაზე დათანხმების ან არსებული გარიგების გაგრძელების საკითხს პარტნიორები განიხილავენ ფირმის კომპეტენციის, რესურსების, ეთიკური მოთხოვნებისა და დამკვეთის პატიოსნების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

ხარისხის მართვის სისტემა

ფირმას შექმნილი, დანერგული და ფუნქციონირებაში აქვს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეყრდნობა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებს ხმს 1-სა და ხმს 2-ს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსსა და საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს. სისტემა რისკზე დაფუძნებული, უწყვეტი და იტერაციულია და ითვალისწინებს ფირმისა და მისი გარიგებების ხასიათსა და გარემოებებს.

სისტემა მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებს:

- ფირმის რისკის შეფასების პროცესი;
- მმართველობა და ხელმძღვანელობა;
- სათანადო ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის დამოუკიდებლობა;
- დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება და გაგრძელება;
- გარიგების შესრულება;
- ადამიანური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი.

პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება

ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები განაწილებულია პარტნიორებსა და, გარიგების დონეზე, გარიგების პარტნიორებზე. ხარისხის მართვის სისტემაზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრება დირექტორს. სისტემაზე, დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვასა და მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება არაადმასრულებელ პარტნიორს, რომელიც დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც ზედამხედველობს.

ხარისხის მართვის სისტემის შეფასება და ხელმძღვანელობის განცხადება

ფირმის პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის მართვის სისტემას დირექტორი ფირმის სახელით, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ აფასებს. შეფასება ეყრდნობა სისტემის მონიტორინგიდან, დასრულებული გარიგებების ინსპექტირებიდან, გამოვლენილი ნაკლოვანებების შეფასებიდან და რემედიაციის ღონისძიებების მდგომარეობიდან მიღებულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის განცხადება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული შეფასების საფუძველზე, დირექტორი, როგორც ხარისხის მართვის სისტემაზე საბოლოო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული პირი, აცხადებს, რომ ხარისხის მართვის სისტემა ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია.

მონიტორინგი და რემედიაცია

ხარისხის მართვის სისტემის შესახებ რელევანტური, საიმედო და დროული ინფორმაციის მისაღებად ფირმა იყენებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ცენტრალიზებულ მიმოხილვას - ხარისხის რისკების პირველადი და შემდგომი პერიოდული შეფასებისთვის;
- უწყვეტ მონიტორინგს - გარიგებების შესრულებისას ეთიკური მოთხოვნების, ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის პოლიტიკების დაცვაზე თვალყურის მისაღწევნებად;
- პერიოდულ მონიტორინგს - შიდა და გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის, მათ შორის საჩივრებისა და ბრალდებების, განხილვისთვის;
- დასრულებული გარიგებების ციკლურ ინსპექტირებას - თითოეული გარიგების პარტნიორის სულ მცირე ერთი დასრულებული გარიგების ინსპექტირებით სამწლიან ციკლში;
- გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზების ანალიზსა და მათთან შესაბამისი რემედიაციის ღონისძიებების შემუშავებას, დანერგვასა და ეფექტიანობის შეფასებას.

გარიგებების ხარისხი, კონსულტაცია და დოკუმენტაცია

თითოეულ გარიგებას ხელმძღვანელობს დანიშნული გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია გარიგების საერთო ხარისხზე, გუნდის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობაზე, შესრულებული სამუშაოს მიმოხილვასა და მნიშვნელოვანი საკითხების სათანადო გადაწყვეტაზე. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ფირმის პოლიტიკის შესაბამისად, ექვემდებარება გარიგების ხარისხის მიმოხილვას აუდიტორის დასკვნის თარიღამდე. 2025 წელს ფირმას სდპ-ის აუდიტის გარიგება არ ჰქონია.

როგორც ან სადავო საკითხებზე ფირმის პოლიტიკა ითვალისწინებს სათანადო კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირებთან შიდა ან გარე კონსულტაციას. ფირმას ასევე აქვს გარიგების დოკუმენტაციის მომზადების, საბოლოო ფაილის დაკომპლექტების, უსაფრთხოდ შენახვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა და პრაქტიკული პროცედურები.

სამსახურის მიერ ჩატარებული ბოლო მონიტორინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ბოლო მონიტორინგი განხორციელდა 2023 წლის 28 დეკემბერს. მონიტორინგის შედეგებით ფირმამ შეინარჩუნა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება.

დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ზომები

ფირმის დამოუკიდებლობის პოლიტიკა ვრცელდება ფირმაზე, პარტნიორებზე, გარიგების გუნდების წევრებსა და სხვა პირებზე, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეთ გარიგების შედეგზე. პოლიტიკა ეფუძნება პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსს და საქართველოს კანონმდებლობას.

- გარიგების მიღებამდე და გაგრძელებისას ინტერესთა კონფლიქტებისა და დამოუკიდებლობის საფრთხეების გამოვლენა და შეფასება;

- გამოვლენილი საფრთხეების მისაღებ დონემდე შესამცირებლად შესაბამისი დამცავი ზომების განსაზღვრა და დოკუმენტირება;
- აუდიტის დამკვეთისთვის არააუდიტორული მომსახურების გაწევის წინ ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;
- დამოუკიდებლობის შესაძლო დარღვევების დაუყოვნებლივ შეტყობინება, შეფასება, შედეგების გამოსწორება და სათანადო დოკუმენტირება;
- სულ მცირე წელიწადში ერთხელ დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის წერილობითი ან ელექტრონული დასტურის მიღება ყველა შესაბამისი პირისგან;
- დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შიდა მონიტორინგი არააღმასრულებელი პარტნიორის ზედამხედველობით.

ფირმა ადასტურებს, რომ 2025 წლის მიმართ ჩატარდა დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შიდა მონიტორინგი.

განგრძობითი განათლება

ფირმის პოლიტიკა მოითხოვს, რომ აუდიტორებმა და გარიგების პარტნიორებმა შეინარჩუნონ რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭირო პროფესიული სერტიფიცირება, პროფესიული ორგანიზაციის წევრობა და განგრძობითი პროფესიული განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობა. ეს პოლიტიკა თანაბრად ვრცელდება იმ აუდიტორებსა და გარიგების პარტნიორებზე, რომლებიც სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ახორციელებენ ან ასეთი აუდიტის უფლებამოსილება გააჩნიათ.

- სავალდებულო განგრძობითი განათლების პროგრამებში მონაწილეობა;
- შიდა და გარე ტრენინგებში, სემინარებსა და პროფესიულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
- პროფესიული ცოდნისა და უნარების ყოველწლიური შეფასება;
- განვითარების საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი სწავლების დაგეგმვა;
- ტრენინგის ხარჯების ანაზღაურება ფირმის შიდა პოლიტიკის შესაბამისად.

პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორები

ფირმის ანაზღაურებისა და წახალისების პოლიტიკა მოიცავს გარიგების შემსრულებელ პარტნიორებსაც. პარტნიორების ანაზღაურების ფიქსირებული და, შესაბამის შემთხვევაში, ცვლადი კომპონენტების განსაზღვრისას ფირმა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ფირმაში შესრულებულ როლსა და დაკისრებულ პასუხისმგებლობებს;
- პროფესიულ კომპეტენციას, გამოცდილებასა და კვალიფიკაციის შენარჩუნებას;
- გარიგებებისა და სხვა დაკისრებული მოვალეობების დროულად და ხარისხიანად შესრულებას;
- ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულების ხარისხს;
- წლიური საქმიანობისა და მონიტორინგის შედეგებს;
- ფირმაში მუშაობის ხანგრძლივობასა და განსაკუთრებულ პროფესიულ მიღწევებს;
- ისეთ ქმედებებს ან საქციელს, რომლებიც დადებითად ან უარყოფითად აისახება მომსახურების ხარისხზე.

ანაზღაურებისა და დაწინაურების გადაწყვეტილება მიიღება დოკუმენტირებულ შეფასებაზე დაყრდნობით და ხარისხის პრიორიტეტის გათვალისწინებით.

გარიგების პარტნიორობისა და სხვა საკვანძო პერსონალის როტაცია

ფირმის როტაციის პოლიტიკის მიზანია ხანგრძლივი ჩართულობით გამოწვეული ფამილიარული ურთიერთობისა და ანგარიშების საფრთხეების პრევენცია ან მისაღებ დონემდე შემცირება. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან სხვა მარწმუნებელი გარიგებისას ერთსა და იმავე პირს გარიგების პარტნიორის ან გარიგების ხარისხის მიმოხილველის როლი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, ჯამურად შვიდ წელზე მეტი ხნით არ ენიჭება.

ჩართულობის პერიოდის დასრულების შემდეგ მოქმედებს შემდეგი აკრძალვის პერიოდი:

გარიგების სახე	აკრძალვის პერიოდი
სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა	5 წელი
სდპ-ის გარდა სხვა პირის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა	3 წელი
სხვა მარწმუნებელი მომსახურება	2 წელი

შემოსავლები

2025 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით პროფესიული მომსახურებიდან მიღებული ამონაგებია 357,753 ლარი: ფინანსური ანგარიშგების აუდიტი - 60,000; სხვა აუდიტორული მომსახურება - 182,711; საკონსულტაციო მომსახურება - 78,042; საბუღალტრო მომსახურება - 37,000 ლარი.

ფირმა ადასტურებს, რომ საანგარიშგებო პერიოდში სდპ-ის ან სდპ-მშობელი ჯგუფის სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან შემოსავალი არ მიუღია და მის მიერ აუდიტირებული სუბიექტის, მისი მშობელი საწარმოს ან კონტროლირებული საწარმოსთვის დაშვებული არააუდიტორული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 0 ლარია.

№	შემოსავლის კატეგორია	ლარი
1	სდპ-ებისა და სდპ-მშობელი ჯგუფის სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	0
2	სხვა პირთა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	60,000
3	აუდიტირებული სუბიექტისა და მისი ჯგუფისთვის დაშვებული არააუდიტორული მომსახურება	0
4	სხვა არააუდიტორული მომსახურება	297,753
5	სულ პროფესიული მომსახურებიდან მიღებული ამონაგები	357,753

შენიშვნა: სხვა არააუდიტორული მომსახურების 297,753 ლარი შედგება სხვა აუდიტორული მომსახურებისგან - 182,711 ლარი, საკონსულტაციო მომსახურებისგან - 78,042 ლარი და საბუღალტრო მომსახურებისგან - 37,000 ლარი.

ინფორმაცია სანქციების შესახებ

განცხადება

2025 წლის განმავლობაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს ფირმის მიმართ სანქციების გადაწყვეტილება არ გამოუცია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა და ხელმოწერა

ფირმა პასუხისმგებელია წინამდებარე ანგარიშში ასახული მონაცემების უტყუარობაზე. ანგარიშს ხელს აწერს ფირმის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

ფირმა

უფლებამოსილი პირი

თანამდებობა

თარიღი / ხელმოწერა

შპს „აუდიტ-პროფესიონალი“

გიორგი ნიქაბაძე

დირექტორი

30.04.2026

